



Kharashvili E., Lobzhanidze N.,(2022). Sustainable Education Challenges through Distance Learning (case of Georgia), *Innovative Economics and Management*, 9(2), 45-56.
DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.9.2.2022.45-56>

SUSTAINABLE EDUCATION CHALLENGES THROUGH DISTANCE LEARNING (CASE OF GEORGIA).

Eter Kharashvili

Ivane Javakhisvili Tbilisi State

University, Professor

Georgia, Tbilisi

E-mail: eter.kharashvili@tsu.ge

ORCID ID: 0000-0003-4013-7354

Nino Lobzhanidze

Ivane Javakhisvili Tbilisi State

University, Assistant Professor

Georgia, Tbilisi

E-mail: nino.lobzhanidze@tsu.ge

ORCID ID: 0000-0001-5830-6924

DOI:10.46361/2449-2604.9.2.2022.45-56

JEL Classification: D04, H3

ABSTRACT. Based on bibliographic research, the article analyzes the challenges of sustainable education in different countries, the approaches and concepts existing in these countries. The theoretical and practical aspects of distance learning are studied.

Quantitative research has been conducted to identify the factors hindering the formation of a sustainable education system in Georgia, to evaluate the positive and negative sides of distance learning and to determine the directions of sustainable education.

The paper highlights the problems in the field of sustainable education system and distance learning in Higher Educational Institutions of Georgia; There is substantiated the need to identify the mechanisms that will create favorable conditions for the sustainable development of the education system in the conditions of distance learning.

The article evaluates the opinions of scientists and researchers about distance education, conducts a SWOT analysis of distance education. Population-based/Census-based approach is used to determine the impact of distance learning on sustainable education system. The results of the research are processed by the SPSS program.

Based on the analysis of quantitative research results and discussion with focus groups, conclusions are made and recommendations are developed on the directions of achieving sustainable education in the conditions of distance learning.

Keywords: *Sustainable Education, Sustainable Education Challenge, Distance Learning, Conditions of Sustainable Education, SWOT Analysis of Distance Learning, Directions for Achieving Sustainable Education.*

ატვიპური კრიზისის პერიოდში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოიკვეთა მოთხოვნა დისტანციურ სწავლებაზე. ამ სფეროში მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი გამოცდილება არსებობდა, თუმცა, საქართველოსთვის დისტანციური სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები ნაკლებად იყო აპრობირებული. შესაბამისად, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

COVID-19-ის პანდემიით შექმნილი საჭიროებებიდან გამომდინარე, საქართველოში გაჩნდა დისტანციური სწავლების დანერგვისა და მისი რეგულირების საჭიროება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა დისტანციური განათლების ფორმების, შესაძლებლობებისა და შეზღუდვების, პედაგოგიური მიდგომებისა და განათლების სისტემების რეგულირების შესაძლებლობების შესწავლა (ბაქრაძე ლ., 2020).

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პანდემიის პერიოდში დაინერგა დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმა, თუმცა, პროცესები ქაოტურად მიმდინარეობდა, ხოლო სწავლების ფორმატი და შეფასების სისტემები ტექნიკურ-ტექნოლოგიური

თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში, შეუსაბამო იყო დისტანციური სწავლების მოთხოვნებთან. დისტანციური სწავლების გამოწვევებზე, როგორც სხვადასხვა ორგანიზაციის, ასევე, მეცნიერთა მიერ, ჩატარდა გარკვეული კვლევებიც, თუმცა, უმეტესობა მათგანი მოიცავდა დისტანციური განათლების ფრაგმენტული საკითხებისა და სწავლების სამართლებრივი ჩარჩოპირობების შესახებ საკითხების განხილვას.

საქართველოში დისტანციური სწავლების ორწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში სწავლების ამ ფორმის გამოყენება ეფექტიანია და აშკარა უპირატესობები გააჩნია. თუმცა, მიუხედავად ამისა, გადასაჭრელია დისტანციური სწავლების სფეროში წარმოქმნილი მრავალი პრობლემა. დისტანციური სწავლების გამოყენება სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობითა და რეალურ პირობებთან ადაპტაციის გზით უნდა მიმდინარეობდეს, ამასთან, საჭიროა პასუხობდეს მდგრადი განათლების გამოწვევებს. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით დისტანციური სწავლების პრობლემების გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ამ სფეროში არსებული გამოწვევები და შევიმუშავოთ რეკომენდაციები მდგრადი განათლების მიღწევის შესაძლებლობებზე.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისტანციური სწავლების გამოწვევების გამოვლენა და მდგრადი განათლების მიღწევის შესაძლებლობებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდები

დისტანციური სწავლების მოდელების, დისტანციურ განათლებაში გამოყენებული პროგრამების, სამართლებრივი ბაზის, გამოყენებული სწავლების ფორმებისა და ტექნოლოგიების შესწავლის მიზნით ჩატარდა ბიბლიოგრაფიული კვლევა. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესაფასებლად გამოყენებულია დისტანციური სწავლების SWOT ანალიზი. დისტანციური სწავლებით სტუდენტების კმაყოფილების დასადგენად გამოყენებულია პოპულაციაზე დაფუძნებული მიდგომა, კვლევის შედეგები დამუშავებულია SPSS პროგრამით.

დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისა და მდგრადი განათლების განვითარების მიმართულებების იდენტიფიკაციის მიზნით ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა და ინტერვიუები ფოკუს ჯგუფებთან.

დისტანციური განათლების განვითარების ტენდენციები

დისტანციურ სწავლებაზე მოთხოვნა საუკუნეზე მეტია არსებობს, თუმცა, ელექტრონული კომუნიკაციის განვითარებამ ამ ფორმით სწავლება უფრო აქტუალური და მოთხოვნადი გახადა.

ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით დისტანციურ განათლებაში სამი ეტაპი გამოიყოფა: 1. ბეჭდური სახით ინფორმაციის გავრცელება; 2. დისტანციის დაფარვისთვის შემუშავებული ელექტრონული და მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენება; 3. დისტანციურ განათლებაში ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენება (Bozkurt A., 2019). დისტანციური სწავლების შესახებ მკვლევართა მოსაზრებები განსხვავებულია როგორც ტერმინთა განსაზღვრებების, ასევე, დისტანციური სწავლების მოდელებისა და კომპონენტების მიმართულებებით. მეცნიერთა ერთი ჯგუფის განმარტებით დისტანციური განათლება მასწავლებლისა და მოსწავლის ტექნოლოგიური განცალკევების შედეგია (Keegan D., 1995). მკვლევართა ნაწილი კი მიიჩ-

ნევს, რომ ტერმინი დისტანციური სწავლება ნიშნავს ისეთ სასწავლო პროცესს, როდესაც ლექტორი და სტუდენტი განცალკევებულია სივრცესა და შესაძლოა დროშიც (Teaster P., & Blieszner R., 1999).

დისტანციური სწავლება განიხილება როგორც მოდელი, რომელიც ორიენტირებულია განათლებისა და ტრენინგების, დროისა და ადგილის მეტ ხელმისაწვდომობაზე. ეს არის განათლების ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტი (Webster & Hackley, 1997, 1284). დისტანციური სწავლების ძირითადი განმარტების თანახმად, ლექტორი და სტუდენტები განცალკევებულნი არიან სივრცით განზომილებაში და მათ შორის მანძილი შევსებულია ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით (Casarotti, Filliponi, Pieti & Sartori, 2002, p. 37).

მე-20 საუკუნის ბოლოს არსებული ეკონომიკური და სოციალური მიღწევები გლობალური ეკონომიკის ძველიდან ახალ ვირტუალურ ეკონომიკაზე გადასვლას იწყებს. ბოლოდროინდელმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ ღრმა ცვლილებები განაპირობა საგანმანათლებლო სისტემაში. გეოგრაფიული მანძილისა და განვითარების დონის გამო განათლება, კლასიკური გაგებით, მიუწვდომელია მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, გლობალიზაციის პროცესებმა კი გამოიწვია ვირტუალური ეკონომიკის განვითარება. საჭირო გახდა ახალი ცოდნის მიღება დისტანციურად შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით. დისტანციური სწავლება ჩამოყალიბდა როგორც განათლების სფერო, რომელიც ფოკუსირებულია სწავლების შესაბამის მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე, სწავლების მიწოდება ხდება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ფიზიკურად არ იმყოფებიან ტრადიციულ საგანმანათლებლო გარემოში.

მეოცე საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარებამ განსაზღვრა განათლებისა და ტრენინგის მიწოდების ახალი ალტერნატივა დისტანციური სწავლების ფორმით. ინტერნეტის განვითარებამ და მასობრივმა გავრცელებამ დისტანციური განათლების არა მხოლოდ მასშტაბი, არამედ მიზნებიც და მეთოდოლოგიაც შეცვალა. მანამდე არსებული ონლაინ კურსების პლატფორმები გაფართოვდა და მიზნები უფრო მასშტაბური გახდა. მსგავსი პლატფორმებია: Coursera, Udemy, Udacity, Khanacademy. საუნივერსიტეტო სფეროში აღნიშნულმა კურსებმა დიდი ცვლილებები შეიტანა დისტანციური განათლების კუთხით (ჯანაშია ს., 2021).

მიუხედავად თავდაპირველი შეფასებებისა, რომ დისტანციური სწავლება გამოიწვევდა სწავლების ხარისხის გაუარესებას, კვლევებმა საპირისპირო შედეგი აჩვენა - დისტანციური სწავლების სარგებელი აშკარაა, დისტანციური სწავლების მრავალი ფორმა სწრაფად ვითარდება და განათლების ამ სახეობაზე მოთხოვნა ზრდადია, ხარისხიც შენარჩუნებულია (Belanger & Jordan, 2000, 17).

დისტანციური სწავლების შესახებ არსებული განმარტებების შეჯერებისა და ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ დისტანციური სწავლება არის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ლექტორისა და სტუდენტის განცალკევებით დროსა და რეალურ სივრცეში განათლების მიწოდების პროცესი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემების გამოყენებით (Kharaisvili E., Lobzhanidze N., 2022).

სამეცნიერო ნაშრომებში განსაკუთრებული აქცენტები გაკეთებულია როგორც დისტანციური, ონლაინ და შერეული განათლების შესახებ განმარტებებზე (OECD, 2020), ასევე, ზოგადად დისტანციური განათლების პრობლემებზე (Fitzpatrick J., 1982), სტუდენტისა და ლექტორის დროსა და სივრცეში კავშირურობისა და უკუკავშირების ეფექტებზე (Hodges C., Moore S., Locke B., Trust T., & Bond A., 2020), სწავლების მხარდასაჭერად ციფრული მასალებისა და

ტექნოლოგიების გამოყენებაზე (Carlsen A., Holmberg C., Neghina C., Owusu-Boampong A., 2016). ნაშრომებში, ასევე, ვრცლად არის განხილული დისტანციური სწავლების პროცესში სტუდენტთა შეფასების პრობლემები (Chaudhary S. & Dey N., 2013), სტუდენტთა ცოდნის შეფასების ფორმებსა და მეთოდებს შორის მსგავსება-განსხვავებები (Menabde T., Baliashvili S., kvachadze N., 2016).

დისტანციურ სწავლებას გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე, ნაკლოვანებები. აღნიშნული საკითხიც მეცნიერთა განხილვის საგანია (Lobanova U. L., 2021). განსხვავებული შეხედულებებია წარმოდგენილი დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების ფორმებზე (Simonson M., Schlosser C., 2014), სინქრონული და ასინქრონულის სწავლების შეთავსების საკითხებზე (Doering A., 2006), დისტანციურ სწავლების პროცესში ვებ-რესურსებისა და ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე (Bozkurt A., 2019), დისტანციური და პირისპირ სწავლების ფორმატების კომბინირებაზე (Burns M., 2011) და სხვ.

მასალების ანალიზმა გამოავლინა, რომ მიმდინარე ეტაპზე ტრადიციული უნივერსიტეტები ვერ აკმაყოფილებენ სტუდენტების მოთხოვნას ჩარიცხვებზე, ამიტომ ქვეყნების ნაწილმა დაიწყო „ელიტარიდან მასობრივ განათლებაზე“ გადასვლა, მაგალითად, ჩინეთმა შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემის გამოყენება 1,5 მილიონი სტუდენტისთვის, რომელთაგან ორი მესამედი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს (Bollag B., & Overland M. A., 2001).

მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი დისტანციური სასწავლო პროცესის დანერგვის პრაქტიკაზე, კერძოდ, ავსტრიული მოდელის განხილვაზე (“School in the Air”). ამგვარი მოდელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დასახლებული პუნქტებისა და სკოლებისგან მოშორებით ცხოვრობენ. დისტანციური სწავლება ფართოდ გამოიყენება ავსტრალიაში, ბრიტანეთში, ნორვეგიაში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში (Keegan, 1995). ამრიგად, დისტანციურ სწავლებას შეუძლია შეასრულოს გეოგრაფიულად ფართო და მრავალფეროვანი დაინტერესებული მხარეებისათვის სასწავლო კურსების ეფექტიანად მიწოდების ფუნქცია, შესაბამისად, გამოკვეთილია დისტანციური განათლებისათვის შესაბამისი პროგრამების მიწოდების საჭიროებაც. ამ გზით მიიღწევა ბალანსი სტუდენტების მზარდ ჩარიცხვებსა და ფიზიკური შენობის სივრცის ნაკლებობას შორის (Bollag B., & Overland M. A., 2001).

როგორც ბიბლიოგრაფიული კვლევით გამოვლინდა, მომდევნო ათასწლეულში მდგრადი განათლების სისტემის ფორმირებისა და დისტანციური განათლების მიწოდებისათვის აუცილებელი იქნება განათლებაზე გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება რესურსების შეზღუდულობის პირობებში (Horgan B., 1998), ასევე, მნიშვნელოვანია წვდომის გაზრდა თანამედროვე ტექნოლოგიებზე. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მდგრადი განათლების მიღწევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დისტანციური სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და შეფასების სისტემების გამოყენება, ელექტრონული სწავლებისათვის საჭირო რესურსების ფორმირება. ასეთი კომპლექსური მიდგომებით მიიღწევა უმაღლესი განათლების ეკონომიური ეფექტიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დისტანციური პროგრამები შეიძლება სწრაფად გახდეს მეორეხარისხოვანი (Dibiase D., 2000).

დისტანციური პროგრამებით სწავლების შემთხვევაში და მდგრადი განათლების უზრუნველყოფაში უპირველესი საკითხია სწავლების ხარისხი, რომელიც ონლაინ სასწავლო კურსების კმაყოფილების დონის შესწავლით უნდა გამოვლინდეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია კურსების

შეფასების ფორმების ტიპების შესახებ პრობლემების გამოვლენა და სამომავლო შესაძლებლობების განსაზღვრა.

დისტანციური სწავლების SWOT ანალიზი და მოლოდინები

დისტანციური სწავლების გაანალიზებისა და მოლოდინების განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ SWOT ანალიზის მატრიცა, კერძოდ შუასადა მლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. დისტანციური სწავლების პროცესში ძირითად ძლიერ მხარეებად გამოვლინდა: დროსა და სივრცეში მოქნილობა, განათლების მიღების უწყვეტობის უზრუნველყოფა, დამოუკიდებლად სწავლის უნარების გამომუშავება, სწავლა-სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება, ელექტორულ ბაზებზე ხელმისაწვდომობის გაფართოება (Elsevier, Scopus, Sciencedirect, EBSCO, Econlit England Journal, Oxford Textbook of Medicine, JSTOR, BioOne; ECD-Library, Cambridge Journals Online, HINARI Health და სხვა). დისტანციური სწავლების პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს დისტანციური სწავლების სუსტი მხარეები: რეგიონების მიხედვით ინტერნეტით დაფარვის არათანაბარი დონე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სირთულეები, კომპიუტერიზაციის პროცესისათვის საჭირო დრო, ტექნიკაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა, სასწავლო მასალებისა და პროცესების მოდიფიკაციის გამოწვევები დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის პირობებში, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციის ნაკლებობა თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით და სხვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციური სწავლება იძლევა სხვადასხვა შესაძლებლობას სწავლის პროცესის განვითარებისა და ცოდნის მიღების თვალსაზრისით, მათგან მნიშვნელოვანია: თანამედროვე ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების გამოვლენა და დანერგვა, კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტით დაფარვის უზრუნველყოფის შედეგად ქვეყნის ინოვაციური ინფრასტრუქტურული განვითარება, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების განვითარება ონლაინ მართვის სისტემების ათვისების კუთხით, ახალი სასწავლო სისტემების განვითარება, საერთაშორისო სასწავლო პროგრამებთან ჰარმონიზაციის პროცესის დაჩქარება. SWOT ანალიზით, ასევე, გამოიკვეთა, რომ მთავარ საფრთხეს წარმოადგენს დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის ბოლო პერიოდის განსაკუთრებით დაჩქარებული პროცესების ირიბი შედეგები, კერძოდ, მეტად საყურადღებოა ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელიც სტუდენტებში იჩენს თავს სოციალური იზოლაციისა და თვითგამოხატვის ახალი ფორმების აუთვისებლობის საფუძველზე. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისეთი კიბერსაფრთხეები, რომელიც გამოიწვევს ონლაინ სასწავლო სისტემების მწყობრიდან გამოსვლას.

დისტანციური სწავლების შესახებ უნივერსიტეტებში გარკვეული მოლოდინები გაჩნდა, მათგან უმეტესი მოლოდინი ფინანსური ხასიათისაა. უნივერსიტეტებს მიაჩნიათ, რომ დისტანციური სწავლება ფინანსური რესურსების დაზოგვის კარგი შესაძლებლობაა. თეორიული კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სალექციო ნაკადებში სტუდენტთა რაოდენობა იზრდება, ხოლო ზედნადები დანახარჯები იგივე რჩება.

პანდემიის გამო ბოლო ორ წელიწადში დისტანციურ განათლებაზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა. განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს პროცესი განსაკუთრებული გამოწვევა გახდა მთელი რიგი ფაქტორების გამო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დისტანციური სწავლების პროცესის კმაყოფილებისა და მოლოდინების კვლევა.

დისტანციური სწავლებით სტუდენტების კმაყოფილების დასადგენად გამოყენებულია პოპულაციაზე დაფუძნებული მიდგომა, კვლევა ჩატარდა 2022 წლის გაზაფხულის სემესტრში.

უმადლესი სასწავლებლის სტუდენტების გამოკითხვა მიმდინარეობდა ორი კვირის განმავლობაში. შედეგები დამუშავდა SPSS პროგრამით.

დისტანციური სწავლების ფორმატზე დამოკიდებულების კვლევამ გვიჩვენა, რომ დისტანციური სწავლებით ძალიან კმაყოფილია გამოკითხულთა 48%, ხოლო ძალიან უკმაყოფილო 4%. ამასთან, გამოკითხულთა 53%-ის აზრით, ასეთი სწავლება მეტად ხარისხიანია, მეტნაკლებად ხარისხიანად მიაჩნია 39%-ს, ხოლო 8% მიიჩნევს, რომ სააუდიტორიო სწავლებასთან შედარებით დისტანციური სწავლება მეტად უხარისხოა.

დისტანციური სწავლების პროცესში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად მივიჩნიეთ ელექტრონულ სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობის გამოვლენა. გამოკითხულთა უმეტესობისთვის აღნიშნული პრობლემურ საკითხად არ იქნა მიჩნეული, კერძოდ, 61%-ის აზრით ელექტრონულ სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობის ხარისხი მეტნაკლებად მაღალია, 26%-თვის მასალებზე წვდომა არანაირ შეფერხებასთან არ იყო დაკავშირებული, მხოლოდ 1% თვლის, რომ ელექტრონული სასწავლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი.

დისტანციური სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დონის შესაფასებლად შესაბამის კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 8.3% სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება, 19.9% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ძირითადად გამოიყენება, მეტნაკლებად გამოიყენებას ეთანხმება გამოკითხულთა 31,9% სრულიად არ ეთანხმება ან არ ეთანხმება გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 36.1%.


გამოკითხვამ, სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის დისტანციური სწავლების ფორმატთან შესაბამისობის შესახებ გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 64.4%-თვის სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა დისტანციური სწავლების ფორმატთან სრულიად ან მეტწილად შესაბამისია, აღნიშნულს სრულიად შეუსაბამოდ მოიაზრებს გამოკითხულთა თითქმის 6.5%, ხოლო 4.2%-ს ამ საკითხზე ინფორმაცია არ გააჩნდა.

შედარებითი ანალიზის მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა კმაყოფილების დონისა და მოლოდინების შესწავლის მიზნით, მსგავსი კვლევა ჩატარდა კატოვიჩეს უნივერსიტეტში, პოლონეთში 2020 წლის შემოდგომაზე. კვლევაში ჩართულნი იყვნენ, პირველკურსელი სტუდენტები. აქედან გამომდინარე, მათ პირველი შეხება ჰქონდათ ონლაინ სასწავლო პროცესთან. სტუდენტთა კმაყოფილების დონე პირდაპირპროპორციულ კორელაციაშია მათ მიერ აღქმულ სარგებლიანობასთან. აღნიშნული უნივერსიტეტის მაგალითზე, დისტანციური სწავლებისადმი მოლოდინები მეტწილად დადებითია, რაც გამოწვეულია მათ მიერ თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობითა და ამ ტექნოლოგიების ათვისების მაღალი უნარების ქონით. შედეგად, მათი მხრიდან დისტანციური სწავლების დანერგვის იდეა მეტწილად დადებითად შეფასდა (Cicha K., Rizun M., Rutecka P., Strzelecki A., 2021).

უნდა აღინიშნოს იუნესკოს მსოფლიო უმაღლესი განათლების ფორუმის კვლევის შედეგები, რომელიც 2022 წელს გამოქვეყნდა. კვლევის შედეგებში ხაზგასმულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში უმაღლესი განათლების ინსტიტუციების მხრიდან დისტანციური სწავლების შესაძლებლობების დიფერენციაცია. პირველი გლობალური კვლევა უმაღლეს განათლებაზე COVID-19-ის გავლენის შესახებ 2020 წელს ჩატარდა პანდემიის დასაწყისში, იმავე წლის მარტსა და აპრილში. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი შეუსაბამობები იყო უსდ-ის შესაძლებლობებს შორის დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას. მაგალითად, აფრიკის ქვეყნების უმეტესობაში უმაღლესი სასწავლებლების მხოლოდ 29%-მა შეძლო სწრაფად გადაეტანა სწავლება დისტან-

ციურად, მაშინ როცა ევროპის უმაღლესი სასწავლებლების 85% უკვე მზად იყო ამ პროცესებისთვის. პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, სიტუაცია, როგორც ჩანს, გაუმჯობესდა, რადგან გლობალურად, მსოფლიოში უმაღლესი სასწავლებლების 89% თავაზობდა დისტანციურ სწავლებას, ხოლო მხოლოდ 11%-მა ვერ შეძლო აღნიშნული. რეგიონულ ჭრილში, ევროპა და აფრიკა რჩება ორ უკიდურესობად მსოფლიოს ოთხ რეგიონს შორის, თუმცა, მოგვიანებით სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა აფრიკაშიც (იხ. დიაგრამა 1) (UNESCO, IAU, 2022).

დიაგრამა 1. დისტანციური სწავლისა და სწავლების შესაძლებლობები რეგიონულ ჭრილში, 2022



წყარო: UNESCO 3rd World Higher Education Conference (WHEC) from May 18-20, 2022.

დასკვნები და რეკომენდაციები

დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისა და მდგრადი განათლების განვითარების მიმართულებების იდენტიფიკაციის მიზნით, რაოდენობრივი კვლევით გამოვლენილი პრობლემების განხილვები მოხდა ფოკუს-ჯგუფებთან. საბოლოოდ, კვლევაზე დაყრდნობით, შემუშავდა დისტანციური სწავლების პირობებში მდგრადი განათლების განვითარების შესახებ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

- დისტანციურ პირობებში გართულებულია უმეტესი სასწავლო კურსების ეფექტიანი სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომის გამო. აუცილებელია ძირითადი მაპროფილებელი საგნების სწავლება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და მაღალტექნოლოგიურად აღჭურვილი აუდიტორიების პირობებში. ამასთან, მნიშვნელოვანია დაიწყოს დისტანციურ სწავლებაზე ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება. დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელია ადმინისტრაციის მიზნები და ამოცანები; მიზანშეწონილია, ონლაინ ახალი საგანმანათლებლო პლატფორმების ადაპტაცია და უკვე არსებული პრაქტიკის სრულყოფა ისეთი პლატფორმების საუბეჯელზე, როგორებიცაა: Google classroom, Microsoft teams, Zoom, Skype და სხვა;
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობაში სწავლების ტექნოლოგიები ვერ პასუხობს დისტანციური სწავლების მოთხოვნებს, განსაკუთ-

რებით პრაქტიკული სწავლების სფეროში. საჭიროა სასწავლო კურსების პრაქტიკული ნაწილის ხარისხობრივი გაძლიერება, განსაკუთრებით პროგრამული უზრუნველყოფით (გრაფიკული და სხვა ანალიზების დამოუკიდებლად კეთება ვებ-გვერდების დახმარებით); მნიშვნელოვანია პრაქტიკული სწავლების გაძლიერება კურსების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მონაცემთა დამუშავების ცოდნის გაძლიერება პრაქტიკული აპლიკაციებით (SPSS, Stata, Excel);

- სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები ხშირად შეუსაბამოა დისტანციური სწავლების პირობებთან. საჭიროა, სწავლების მეთოდების მორგება დისტანციური სწავლების ფორმატთან;
- საქართველოს რეგიონებში ჯერ კიდევ დაბალია ინტერნეტით დაფარვის დონე. მნიშვნელოვანია ტექნიკურ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა ელექტრონულ ბაზებში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. აუცილებელია პერსონალის მეტი მონაწილეობა ელექტრონული აღრიცხვის საუნივერსიტეტო სისტემებში, ვიდრე სოციალურ ქსელებში. შესაბამის ბაზებში ჩართულობისათვის, ტექნიკური ნაწილის გასაუმჯობესებლად, მიზანშეწონილია ინსტრუქტორების გამოყენება სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია ადამიანისეული რესურსების კომპეტენციების განვითარება-ამაღლება მათი გადამზადების გზით სწავლების პროცესის გაციფრულების შესაბამისად; ასევე, აუცილებელია პერსონალისთვის ტრენინგების მიწოდება ელექტრონული ბაზების ეფექტიანად გამოყენებისათვის (მაგ., უმეტესობა ჯერჯერობით ითხოვს ინფორმაციების ელ-ფოსტით გაცვლასა და გადაგზავნას);
- განათლების ადმინისტრატორების გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ მათი უმეტესობა იაზრებს თანამედროვე ტექნოლოგიების საჭიროებას. თუმცა, დისტანციური განათლების არარსებობის გამო, ისინი ვერ ახერხებენ პროცესის მხარდაჭერას ადეკვატური პერსონალით, მარტივი მარაგით და გონივრული საოპერაციო ბიუჯეტით. საქართველოს კანონმდებლობაში შესატანია ცვლილებები დისტანციური განათლების შესახებ, რათა ადმინისტრაციამ და პოლიტიკოსებმა შეძლონ ტექნოლოგიებისა და შესაბამისი პროგრამების მხარდაჭერა;
- SWOT ანალიზის შედეგად გამოვლენილმა სუსტმა მხარეებმა და საფრთხეებმა გვიჩვენა, რომ მეტწილად მთავარი გამოწვევაა ადამიანთა სუბიექტური დამოკიდებულებების შედეგად წარმოქმნილი პრობლემები. შედეგად, დისტანციური სწავლების ეფექტიანი დანერგვისა და მდგრადი განათლების უზრუნველყოფის მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის ამაღლება დისტანციური სწავლების ძლიერ მხარეებზე. ასეთი მიდგომით თავისთავად დაძლევადი იქნება სუსტი მხარეები, საფრთხეები კი შესაძლებლობად გარდაიქმნება.
- დისტანციური განათლების ყოვლისმომცველი და სამართლებრივად რეგულირებული პროცესი საჭიროა აისახოს განათლების არსებულ სისტემაში, რაც საბოლოოდ ევოლუციური განვითარებით შექმნის მომავლის საგანმანათლებლო მოდელს. დისტანციური სწავლების გაუმჯობესება უდაოდ შეიტანს წვლილს მდგრადი განათლების სისტემის ფორმირებაში.

ხარაიშვილი ე., ლობჯანიძე ნ., (2022).
ინოვაციური ეკონომიკა და მართვა 9(2), 45-
56.

მდგრადი განათლების გამოწვევები დისტანციური სწავლების პირობებში (საქართველოს მაგალითზე)

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.9.2.2022.45-56>

ეთერ ხარაიშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, პროფესორი
თბილისი, საქართველო
E-mail: eter.kharaisvili@tsu.ge
ORCID ID: 0000-0003-4013-7354

ნინო ლობჯანიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასისტენტ-
პროფესორი
თბილისი, საქართველო
E-mail: nino.lobzhanidze@tsu.ge
ORCID ID: 0000-0001-5830-6924

DOI: 10.46361/2449-2604.9.2.2022.45-56

JEL Classification: D04, H3

აბსტრაქტი. სტატიაში ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაანალიზებულია მდგრადი განათლების გამოწვევები სხვადასხვა ქვეყანაში, შესწავლილია ამ ქვეყნებში არსებული მიდგომები და კონცეფციები, დისტანციური სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

საქართველოში მდგრადი განათლების სისტემის ფორმირების ხელშემშლელი ფაქტორების გამოსავლენად, დისტანციური სწავლების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების შესაფასებლად და მდგრადი განათლების მიმართულებების დასადგენად ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა.

ნაშრომში გამოკვეთილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მდგრადი განათლების სისტემასა და დისტანციური სწავლების სფეროში არსებული პრობლემები, დასაბუთებულია დისტანციური სწავლების პირობებში იმ მექანიზმების გამოვლენის აუცილებლობა, რაც განათლების სისტემის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

სტატიაში შეფასებულია მეცნიერ-მკვლევრების მოსაზრებები დისტანციური განათლების შესახებ, ჩატარებულია დისტანციური სწავლების SWOT ანალიზი. დისტანციური სწავლების მდგრადი განათლების სისტემაზე გავლენის დასადგენად გამოყენებულია პოპულაციაზე დაფუძნებული (Population-based/Census-based) მიდგომა. კვლევის შედეგები დამუშავებულია SPSS პროგრამით.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზისა და ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები დისტანციური სწავლების პირობებში მდგრადი განათლების მიღწევის მიმართულებებზე.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განათლება, მდგრადი განათლების გამოწვევა, დისტანციური სწავლება, მდგრადი განათლების პირობები, დისტანციური სწავლების SWOT ანალიზი, მდგრადი განათლების მიღწევის მიმართულებები.

References/ლიტერატურა

- [1] ბაქრაძე ლ. (2020). ახალი საგანმანათლებლო რეალობა: ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.
- [2] ლეჟავა დ., ამაშუკელი მ. (2015). აკადემიური პროგრამების შედეგებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში (კვლევის ანაგარიში), სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.
- [3] ჯანაშია ს. (2021). დისტანციური განათლების არსი და თეორიული საფუძვლები. პრაქტიკული სახელმძღვანელო „დისტანციური სწავლების მართვა“.
- [4] ადამიანის უფლებათა სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC). (2020). შრომის ბაზრის სეგმენტაცია და შრომა კრიზისის დროს. თბილისი.
- [5] „დისტანციური სწავლების მართვა“. პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბილისი, 2021. <https://www.mes.gov.ge/uploads/covid/distanciuri-swavleba%20-%2008%2002%202021.pdf> (ბოლო ნახვა 16.11.2021).
- [6] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. (2018).
- [7] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. (2019).
- [8] „სკოლა ჰაერში“, <https://www.australian-children.com/school-of-the-air> (ბოლო ნახვა 16.11.2021)
- [9] უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა ანგარიში. (2017). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი.
- [10] შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა. (2015). საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი.
- [11] Allen I. E., Seaman J. (2011). Going the Distance: Online Education in the United States. The Online Learning Consortium.
- [12] Basom, M., & Sherritt, C. (1992). Higher education problems in the twenty-first century: A survey of higher education administrators and politicians. Paper presented at the Annual Conference for International Higher Education Administrators, Nice, France.
- [13] Belanger F., Jordan D. (2000). Evaluation and Implementation of Distance Learning: Technologies, Tools and Techniques. https://www.researchgate.net/publication/344561498_Evaluation_and_Implementation_of_Distance_Learning_Technologies_Tools_and_Techniques
- [14] Bollag B., & Overland M. A. (2001). Developing countries turn to distance education. Chronicle of Higher Education, 47 (40), 29-31.
- [15] Bozkurt A. (2019). From distance education to open and distance learning: A holistic evaluation of history, definitions, and theories. https://www.academia.edu/38973930/From_Distance_Education_to_Open_and_Distance_Learning_A_Holistic_Evaluation_of_History_Definitions_and_Theories.
- [16] Bušelić. M. (2017). Distance Learning – concepts and contributions. https://www.researchgate.net/publication/319338584_Distance_Learning_-_concepts_and_contributions
- [17] Burns M. (2011). Distance Education for Teacher Training: Modes, Models, and Methods. Education Development Center Inc.
- [18] Carlsen A., Holmberg C., Neghina C., Owusu-Boampong A., (2016). Closing the Gap. Opportunities for distance education to benefit adult learners in higher education Opportunities for distance education to benefit adult learners in higher education. UNESCO Institute for Lifelong Learning. p.105. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000243264>.
- [19] Casarotti M., Filipponi L., Pieti L., Sartori P (2002). Educational interaction in distance learning: Analysis of a one-way video and two-way audio system. https://www.researchgate.net/publication/228488779_Educational_interaction_in_distance_learning_Analysis_of_a_one-way_video_and_two-way_audio_system

-
- [20] Cicha K, Rizun M, Rutecka P, Strzelecki A. (2021). COVID-19 and Higher Education: First-Year Students' Expectations toward Distance Learning. *Sustainability*. 13(4):1889. <https://doi.org/10.3390/su13041889>.
- [21] Chaudhary S. & Dey N. (2013). Assessment in Open and Distance Learning System (ODL): A Challenge. *Open Praxis*, 5(3), 207-216. International Council for Open and Distance Education. Retrieved November 16, 2021 from <https://www.learntechlib.org/p/130676/>.
- [22] Dervarics C. (2001). Support builds for distance learning. *Community College Week*, 14 (1), 3-5.
- [23] Dibiasi D. (2000). Is distance education a Faustian bargain? *Journal of Geography in Higher Education*, 24 (1), 130-136.
- [24] Doering A. (2006). Adventure learning: Transformative hybrid online education. *Distance Education*, 27(2), 197–215.
- [25] Fitzpatrick, J. (1982). The Australian schools of the air: The conundrum of who teaches. *Distance Education*, 3(2), 183–197.
- [26] Graetz G. (2019). Labor Demand in the Past, Present, and Future. European Commission Discussion Paper. 114.
- [27] Greenberg G. (1998). Distance education technologies: Best practices for K-12 settings. *IEEE Technology and Society Magazine*, (Winter) 36-40.
- [28] Hodges C., Moore, S., Lockee B., Trust T., & Bond, A. (2020). The difference between emergency remote teaching and online learning. *Educause Review*, 27.
- [29] Horgan B. (1998). Transforming higher education using information technology: first steps. (On-Line). Available: <http://microsoft.com/education/hed/vision.html>.
- [30] Keegan D. (1995). Distance education technology for the new millennium: compressed video teaching. ZIFF Papiere. Hagen, Germany: Institute for Research into Distance Education. (Eric Document Reproduction Service No. ED 389 931).
- [31] Kharashvili E., Chavleishvili M., Lobzhanidze M., Grigolaia N. (2018). The Socio-Economic Consequences of Educational Migration for Georgia, ICEBMM, pp. 29-30.
- [32] Kharashvili E., Chavleishvili M., Lobzhanidze M., Damenia N., Sagareishvili N. (2017). Problems of Youth Employment in Agricultural Sector of Georgia and Causes of Migration. *International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering*, 11 (10). pp. 2116-2121.
- [33] Kharashvili, E. and Lobzhanidze, N. Youth Attitudes towards Distance Learning: Challenges and Opportunities for Sustainable Education - Case of Georgia. DOI: 10.5220/0011366300003350 In Proceedings of the 5th International Scientific Congress Society of Ambient Intelligence (ISC SAI 2022) - Sustainable Development and Global Climate Change, pages 516-524. ISBN: 978-989-758-600-2
- [34] Kharashvili E., Natsvlishvili I. (2019). Challenges of Re-connecting Entrepreneurship and Business Education at Universities (Evidence from Georgia) URI: <http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/298>.
- [35] Lobanova Y. I. (2021). Distance Learning Advantages and Disadvantages: Teaching Experience Analysis at the University with the Basis on Different Informational-Communicative Technologies. In: Silhavy R. (eds) *Artificial Intelligence in Intelligent Systems. CSOC 2021. Lecture Notes in Networks and Systems*, vol 229. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-77445-5_46.
- [36] Mayadas, F. Asynchronous Learning Networks: A Sloan Foundation Perspective. *J. Asynchronous Learn. Netw.* 1997, 1, 1–16.
- [37] Moore D.R., & Lockee B.B. (1998). A taxonomy of bandwidth: considerations and principles to guide practice in the design and delivery of distance education. Unpublished manuscript: Portland State University.
- [38] Nasrullah. Role of Multimedia Tutorials in Distance Education. *Int. J. Infonomics* 2014, 7, 933–941.
- [39] Pregowska, A.; Masztalerz, K.; Garlińska, M.; Osial, M. A., *Worldwide Journey through Distance Education—From the Post Office to Virtual, Augmented and Mixed Realities, and Education during the COVID-19 Pandemic*. *Educ. Sci.* 2021, 11, 118. <https://doi.org/10.3390/educsci11030118>.
- [40] Simonson M., Schlosser C. (2014). We Need a Plan - An Instructional Design Approach for Distance Education Courses. Project: Distance Education.
- [41] Shahabadi M. M., Uplane M. (2015). Synchronous and asynchronous learning e-learning styles and academic performance of e-learner. *Procedia Soc. Behav. Sci.* 176, 125–138.
- [42] Shelton K., Saltsman G. (2005). *An Administrator's Guide to Online Education*; Information Age Publishing: Greenwich, CT, USA.
- [43] Teaster P., & Blieszner R. (1999). Promises and pitfalls of the interactive television approach to teaching adult development and aging. *Educational Gerontology*, 25 (8), 741-754.
-

- [44] Webster, J., & Hackley, P. (1997). Teaching effectiveness in technology-mediated distance learning. *Academy of Management Journal*, 40(6), 1282–1309. <https://doi.org/10.2307/257034>
- [45] American Council on Education. <https://www.acenet.edu/Pages/default.aspx> (Last view 16.11.2021)
- [46] European Political Strategy Centre (EPSC). *Global Trends to 2030: The Future of Work and Workplaces*.
- [47] International Labour Organization., *Global Employment Trends for Youth 2020, Technology and the future of jobs*. Geneva. (2020).
- [48] OECD (2020). *The potential of Online Learning for adults: Early lessons from the COVID-19 crisis*. p.5 https://read.oecd-ilibrary.org/view/?ref=135_135358-ool6fisocq&title=The-potential-of-Online-Learning-for-adults-Earlylessons-from-the-COVID-19-crisis.
- [49] UNESCO 3rd World Higher Education Conference (WHEC) from May 18-20, 2022, International Association of Universities, 2022, ISBN: 978-92-9002-216-9.
- [50] World Economic Forum. *The Future of Jobs Report*. (2020).